

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი

2023 წლის 10 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1. ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. დავით ნებიერიძე 5. საბა გოგიბერიძე 6. ელენე გაჩეჩილაძე 7. ლიკა წერეთელი 8. ილია თავხელიძე 9. ლია მაჭავარიანი 10. ამირან ბიბილაშვილი 11. მარიამ ახალკაციშვილი 12. ანა ბოკერია 13. მარიამ ვარდოსანიძე 14. ვასილ ბერიძე 15. დავით შუბითიძე 16. მაია ივანიძე 17. ბარბარა მახარაძე 18. ავთანდილ ტუკვაძე 19. ალექსანდრე გაბაშვილი 20. კახა კუჭუხიძე 21. ნინო პაქსაშვილი 22. ვლადიმერ მარგველაშვილი 23. შალვა ფარულავა 24. გიორგი პატარაია 25. ანა ფაშაევა 26. კახაბერ ლორია 27. ანასტასია ზაქარიაძე 28. მანანა რუსიეშვილი 29. ლერი თავაძე 30. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 31. გიორგი არქანია 32. საბა გორგაძე 33. ნათია კორაშვილი 34. საბა ლოლაძე 35. ლუკა მამალაშვილი 36. ლუკა ნარმანია 37. ციური სუმბაძე 38. სოფიო ხუციშვილი 39. ლალი ახალბედაშვილი 40. თეიმურაზ მაჩაიძე 41. თამილა ჩალაძე 42. გიორგი მამარდაშვილი 43. ედიშერ ფუტკარაძე 44. გვანცა გვანცელაძე 45. ნოდარ ლომიძე 46. თეა შავაძე 47. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ჯაბა სამუშია 2. ზურაბ აბაშიძე 3. ნიკოლოზ ავაზაშვილი 4. ავთანდილ ამირანაშვილი 5. ნათელა ანანიაშვილი 6. მიხეილ ბახტაძე 7. ცისანა გავაშელი 8. გია ლობჟუანიძე 9. ნინო საღრაძე 10. გოჩა ფერაძე 11. რამაზ ქურდაძე 12. ალექსანდრე ღონდაძე 13. თამაზ ყარალაშვილი 14. რევაზ შანიძე 15. ნინო შარაშიძე 16. თემურ შენგელია 17. მარინე ჩიტაშვილი 18. მარი წერეთელი 19. ეთერ ხარაიშვილი 20. მანანა ხაჩიძე 21. მამუკა ხუსკივაძე 22. ქეთევან ხუციშვილი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის №21/2023 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის ანგარიშის წარდგენა (მომხსენებელი: მზექალა აჭაიძე);
4. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 თებერვლის №18/2023 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: რევაზ შანიძე)
5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 თებერვლის №19/2023 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ჯაიანი);
6. ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში მდებარე პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.05.006.117) ნახევარსარდაფში არსებული 153.89 (51,80+51,71+27,14+5,94+17,30) კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი, მცირე წარმოების, სასაწყობე ფართის ან საოფისე ფართის დანიშნულებით (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);
7. ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების) აპარატების განთავსების მიზნით, უნივერსიტეტის (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ 22/02/2023 წ. N 4637/10 წერილში ჩამოთვლილი) უძრავი ქონების იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი (მომხსენებელი: ლაშა სალინაძე);

დღის წერიგი დამტკიცდა ერთხმად;

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის №21/2023 დადგენილებით დაკმაყოფილდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირმა გრძელიძის განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და 2023 წლის პირველი მარტიდან მას შეუწყდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილება.

შესაბამისად, აკადემიური საბჭოს აღნიშნული დადგენილება წარმოდგენილია წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად;

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის №21/2023 დადგენილება (დანართი 3);

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის - შოთა ფოთოლაშვილასათვის თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების დაკისრების საკითხი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის კანონით დადგენილი წესით დამტკიცებამდე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსს - შოთა ფოთოლაშვილს დაეკისროს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შესრულება, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის კანონით დადგენილი წესით დამტკიცებამდე. (დანართი 4)

კენჭისყრის დასრულების შემდგომ, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დაწყებულია ინსტიტუციური რეფორმირების პროცესი და ერთ-ერთი საკითხი, სწორედ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის შერწყმის საკითხია. მსგავსი სტრუქტურული ერთეულის არსებობის მაგალითები გვხვდება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და შესაბამისად, ამ საკითხზე მუშაობა დაწყებული აქვს უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტს. როგორც აღნიშნული საკითხი, ასევე ზოგადად ცენტრალური ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების/ინსტიტუტების სტრუქტურის რეფორმირებისა და ოპტიმიზაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები თანმიმდევრულად წარმოდგენილი იქნება უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციური რეფორმის შედეგად, უკვე არსებობს აუდიტის დასკვნები უნივერსიტეტის გამომცემლობასთან და სტამბასთან დაკავშირებით და თხოვნით მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს, სამუშაო ჯგუფის გამოყოფასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ მათ ადმინისტრაციის მხრიდან, უმოკლედ ვადაში, მიეწოდებათ მითითებული დასკვნები, თავიანთი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარმოსადგენად. აღინიშნა, რომ ამ კუთხით მუშაობა გაგრძელდება, ეტაპობრივად სენატის წინაშე წარმოდგენილი იქნება უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებით ინფორმაცია. უნივერსიტეტის რექტორის განმარტებით, ეს ნაბიჯები უნივერსიტეტის ინტერესებს ემსახურება, ასევე უნივერსიტეტში დასაქმებულთა ღირსეული ანაზღაურების უზრუნველყოფას, რა თქმა უნდა, ყველა დასაქმებულის უფლებების მაქსიმალური გათვალისწინებით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა თხოვნით მიმართა სენატის წევრებს, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულებისთანავე წარმოედგინათ კანდიდატურები აღნიშნულ სამუშაო ჯგუფში ჩასართავად.

3. რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსმა, მზეფალა აჭაიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო აკადემიური საბჭოს 2022 წლის ანგარიში. აღინიშნა, რომ 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 23 სხდომა, 6 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 122 დადგენილება, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოს გაეგზავნა 7 წარდგინება. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პანდემიის პერიოდში, რომელიც დიდი გამოწვევა იყო მთელი საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით განათლების სისტემისთვის, 2 წლის განმავლობაში აკადემიური საბჭოს სხდომები ელექტრონული პლატფორმის საშუალებით მიმდინარეობდა. 2022 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, აკადემიური საბჭოს სხდომები ისევ დასრულებულ ფორმატში მიმდინარეობდა, სასწავლო პროცესი ასევე დაუბრუნდა სწავლების ჩვეულ რეჟიმს. გასული წელი გამოირჩეოდა დატვირთული სამუშაო რეჟიმით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩატარდა სხვადასხვა სახის არჩევნები, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, რექტორის მოვალეობის შემრულებლის, რექტორის არჩევნები, ასევე წარმომადგენლობითი საბჭოსა და აკადემიური საბჭოს არჩევნები და სხვა...აღნიშნა, რომ უფრო დეტალური ინფორმაცია საბჭოს წევრებს დაგზავნილი ჰქონდათ გასაცნობად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად. (დანართი 5)

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17

თებერვლის №18/2023 დადგენილება. როგორც საკითხის მომხსენებელმა, რევაზ შანიძემ აღნიშნა, ცვლილებები შედის დადგენილების სათაურში, ინსტიტუტის დებულებაში (დანართი 1), ინსტიტუტის მისამართში და სხვა...შესაბამისი დოკუმენტაცია გადმოგზავნილია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან გასაცნობად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 თებერვლის №18/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 6);

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 თებერვლის №19/2023 დადგენილება. როგორც საკითხის მომხსენებელმა, გიორგი ჯაიანმა აღნიშნა, ცვლილებები შედის ინსტიტუტის დებულებაში (დანართი 1) სტრუქტურული ერთეულების ნაწილში და ინსტიტუტის მისამართში (ადგილსამყოფელში); შესაბამისი დოკუმენტაცია გადმოგზავნილია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან გასაცნობად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 თებერვლის №19/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 7);

6. საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა სალინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში მდებარე პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.05.006.117) ნახევარსარდაფში არსებული 153.89 (51,80+51,71+27,14+5,94+17,30) კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი, მცირე წარმოების, სასაწყობე ფართის ან საოფისე ფართის დანიშნულებით; შეკითხვის პასუხად განმარტა, რომ ამ შემთხვევაში იჯარის ოპტიმალურ ვადად განისაზღვრა 5 (ხუთი) წელი და რომ ინსტიტუტის აღნიშნული ფართი არის გამოუყენებელი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:
მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიყვეს თანხმობა ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ში მდებარე პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსის (საკადასტრო კოდი 01.14.05.006.117) ნახევარსარდაფში არსებული 153.89 (51,80+51,71+27,14+5,94+17,30) კვ.მ. ფართის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის მიზნით, მცირე წარმოების, სასაწყობე ფართის ან საოფისე ფართის დანიშნულებით (დანართი 8);

7.საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა სალინაძემ აღნიშნა, რომ არსებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების) აპარატების განთავსების მიზნით, უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემის საკითხი:

1. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსში 6 (ექვსი) მ2 ფართი - ნულოვან სართულზე (ოთხი კვ. მეტრი, ცალ-ცალკე ორ-ორი კვ.მეტრი) და მეორე სართულზე (ორი კვ. მეტრი) - საკადასტრო კოდი N01.14.14.010.030;
2. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N3, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 4 (ოთხი) მ2 ფართი - ორ-ორი კვ. მეტრი ნულოვან და პირველ სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.14.010.030;
3. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N11 - მე-3 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 2 (ორი) მ2 - საკადასტრო კოდი N01.14.14.011.014;
4. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N36, უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში 2 (ორი) მ2 ფართი - მეორე სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.11.016.027;
5. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 (მალღივი) კორპუსში 2 (ორი) მ2 ფართი - პირველ სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.04.028.018;
6. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 (მალღივი) კორპუსის სპორტულ სექციაში 2 (ორი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.14.04.028.018;
7. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. ნაკვეთი 06/020 - უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში 6 (ექვსი) მ2 ფართი - ორ-ორი კვ. მეტრი კორპუსის მინაშენში, მე-3 და მე-5 სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.06.006.133;
8. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. ნაკვეთი 06/020 - ბიბლიოთეკის მეოთხე სართულის ფოიეში არსებული 2 (ორი) მ2 - საკადასტრო კოდი N01.14.06.006.116;
9. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი ნაკვ. 42/006, უნივერსიტეტის მე- 7 კორპუსში პირველ სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.17.13.042.014;
10. ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა N78 - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობის პირველ სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი და მე-3 სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი - სულ 4 (ოთხი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.13.02.009.015;
11. ქ. თბილისი, ნუკუბიძის ფერდობი, IVმ/რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ - საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.14.16.008.024.

შეკითხვაზე, თუ რატომ არ არის ჩამონათვალში გათვალისწინებული უნივერსიტეტის მე-6 კორპუსი, მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ კორპუსში არსებულ ვენდიგზე მოთხოვნა არ იყო და იგი კომპანიის მომართვის საფუძველზე ამოღებულ იქნა ნუსხიდან, თუმცა

შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი კომისიის მიერ საკითხის დამატებით განხილვა და შემდგომ სენატის სხდომაზე გამოტანა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 47

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობები ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების) აპარატების განთავსების მიზნით, უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გადაცემაზე, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით:

1. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსში 6 (ექვსი) მ2 ფართი - ნულოვან სართულზე (ოთხი კვ. მეტრი, ცალ-ცალკე ორ-ორი კვ.მეტრი) და მეორე სართულზე (ორი კვ. მეტრი) - საკადასტრო კოდი N01.14.14.010.030;

2. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N3, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 4 (ოთხი) მ2 ფართი - ორ-ორი კვ. მეტრი ნულოვან და პირველ სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.14.010.030;

3. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N11 - მე-3 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 2 (ორი) მ2 - საკადასტრო კოდი N01.14.14.011.014;

4. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N36, უნივერსიტეტის მე-5 კორპუსში 2 (ორი) მ2 ფართი - მეორე სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.11.016.027;

5. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 (მალღივი) კორპუსში 2 (ორი) მ2 ფართი - პირველ სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.04.028.018;

6. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 (მალღივი) კორპუსის სპორტულ სექციაში 2 (ორი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.14.04.028.018;

7. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. ნაკვეთი 06/020 - უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში 6 (ექვსი) მ2 ფართი - ორ-ორი კვ. მეტრი კორპუსის მინაშენში, მე-3 და მე-5 სართულზე - საკადასტრო კოდი N01.14.06.006.133;

8. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. ნაკვეთი 06/020 - ბიბლიოთეკის მეოთხე სართულის ფოიეში არსებული 2 (ორი) მ2 - საკადასტრო კოდი N01.14.06.006.116;

9. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი ნაკვ. 42/006, უნივერსიტეტის მე-7 კორპუსში პირველ სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.17.13.042.014;

10. ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა N78 - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობის პირველ სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი და მე-3 სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი - სულ 4 (ოთხი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.13.02.009.015;

11. ქ. თბილისი, ნუკუბიძის ფერდობი, IVმ/რაიონი, ლისის ტბის მიმდებარედ - საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე 2 (ორი) მ2 ფართი - საკადასტრო კოდი N01.14.16.008.024. (დანართი 9).

- სხდომის დასასრულს, წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი სამუშაო ჯგუფის შექმნას წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრების ჩართულობით:

1. ნინო პაქსაშვილი (სტუდენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
2. დავით ნებიერიძე (სტუდენტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი);
3. გიორგი არქანია (სტუდენტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
4. ლერი თავაძე (აკადემიური პერსონალი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
5. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - (აკადემიური პერსონალი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);
6. მაია ივანიძე - (აკადემიური პერსონალი, იურიდიული ფაკულტეტი);
7. მიხეილ ჩიკვილაძე - (აკადემიური პერსონალი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი

გიორგი ოქიტაშვილი

Handwritten signature in black ink, consisting of a stylized initial 'G' followed by several fluid, connected strokes.


წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1
დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2023 წლის 10 მარტის #1 სხდომა)


ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:


1. ნაზირა კაკულია -



2. მიხეილ ჩიკვილაძე -



3. ნინო ფარესაშვილი -




4. ლელა ბახტაძე -


5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -




2. საბა გოგიბერიძე -



3. მარიამ შენგელია -


4. ილარიონ ფიფია -


5. ელენე გაჩეჩილაძე - ე. გაჩეჩილაძე

6. ლიკა წერეთელი - 


ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი


პროფესორები:

1. ილია თავხელიძე - 

2. ლია მაჭავარიანი - 


3. ნათელა არჩვაძე


4. ამირან ბიბილაშვილი - 

5. მარიამ ახალკაციშვილი - 

6. მაკა მურვანიძე

სტუდენტები:

1. ანა ბოკერია - 

2. მარიამ ვარდოსანიძე - 

3. ვასილ ბერიძე- ვ. ბერიძე.

4. დავით შუბითიძე-




იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-



3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

გ. მახარაძე

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე- *ა. ს. ს. ს. ს.*

სტუდენტები:

1. ალექსანდრე გაბაშვილი- *ა. გაბაშვილი*

2. კახა კუჭუხიძე- *[Handwritten signature]*

3. ნინო პაქსაშვილი- *[Handwritten signature]*

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:


1. ვლადიმერ მარგველაშვილი-




2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-




5. გიორგი პატარაია-



სტუდენტები:

1. ასპრაფ მაკვი ელკვალია მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

Handwritten signature of Kakhaber Loridze

2. ანასტასია ზაქარიაძე-

Handwritten signature of Anastasia Zakariaze

3. ელისაბედ ბუღაძე-

4. მანანა რუსიეშვილი-

Handwritten signature of Manana Rusieshvili

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

Handwritten signature of Leri Tavadze

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

Handwritten signature of Nikoloz Javakhishvili

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

Handwritten signature of Giorgi Arkania

2. საბა გიორგაძე-

Handwritten signature of Saba Giorgadze

3. ნათია კორაშვილი-

Handwritten signature of Natiya Korashvili


4. საბა ლოლაძე-

Handwritten signature of Saba Loladze

5. ლუკა მამალაშვილი-

Handwritten signature of Luka Mamalashvili

6. ლუკა ნარმანია-



საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა


ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-


ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-




ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-



**კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეული
ინსტიტუტი**


ლალი ახალბედაშვილი-




შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-


ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე- 


ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე- 

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის
ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი- 

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტყარაძე- 

მ. ნოდias გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის
ინსტიტუტი


მარინე ხუციშვილი-

ჰაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-


არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-




მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-




ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-



ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-



წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1


დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს

წევრთა სია (2023 წლის 10 მარტი, #1 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



2. აბაშიძე ზურაბ




3. ავაზაშვილი ნიკოლოზ



4. ამირანაშვილი ავთანდილ



5. ანანიაშვილი ნათელა




6. ბახტაძე მიხეილ



7. გაგნიძე ნონა

8. გავაშელი ცისანა




9. გონაშვილი ვასილ

10. ზაუტაშვილი მარინე

11. კოპალეიშვილი მაია

12. კუხიანიძე ალექსანდრე

13. ლობჯანიძე გია



14. ლომიძე გაგა

15. მალრაძე ვახტანგ

16. მინდაძე ნინო

17. საღრაძე ნინო

18. სილაგაძე ავთანდილ

19. ფერაძე გოჩა

20. ფურთუხია ომარ

21. ქიტიაშვილი ზაქარია

22. ქურდაძე რამაზ

23. ლონდაძე ალექსანდრე

24. ყარალაშვილი თამაზ

25. შავლაყაძე ნუგზარ

26. შალიკაშვილი მორის

27. შანიძე რევაზი

28. შარაშიძე ნინო

29. შენგელია თემური

30. ჩიტაშვილი მარინე

31. ცაგარელი ზურაბ

32. ცისკარიძე ალექსანდრე

33. წერეთელი მარი

34. წერეთელი მზია

35. ხარაიშვილი ეთერ

36. ხაჩიძე მანანა

37. ხუსკივაძე მამუკა

38. ხუციშვილი ქეთევან



სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 21/2023

27 თებერვალი 2023 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირმა გრძელიძის 2023 წლის 17 თებერვლის №4147/10 პირადი განცხადებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,


აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ირმა გრძელიძის განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და 2023 წლის პირველი მარტიდან შეუწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილება.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე





N 5744/10
06/03/2023

5744-10-3-202303061642



წარდგინება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის №21/2023 დადგენილებას. ამასთან ერთად გიგზავნით ამონაწერს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის №4 სხდომის ოქმიდან.

დანართი: 3 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამონაწერი

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი

№4

27 თებერვალი 2023, თბილისი

საკითხი 1: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადების განხილვა;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, რექტორმა ჯ. სამუშიამ აღნიშნა, რომ აკადემიურმა საბჭომ წინა სხდომაზე (17.02.2023, N3 სხდომა) მოისმინა თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ანგარიში, რის შემდეგაც ი. გრძელიძემ გააუღერა ინფორმაცია მის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დატოვების შესახებ. აკადემიური საბჭოს სამდივნოში შემოვიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ი. გრძელიძის განცხადება (N4147/10; 17.02.2023) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. რექტორის თქმით, საბჭომ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს საკითხს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების განცხადების დაკმაყოფილებას და ერთხმად დაამტკიცეს დადგენილებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკადემიურ საბჭოს, რომ იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კონკურსი და სხვა პროცედურები ჩატარდება, შეირჩევა და დამტკიცდება არსებული წესით, მიზანშეწონილია დაინიშნოს მოვალეობის დროებით შემსრულებელი. მან წარუდგინა აკადემიურ საბჭოს ამ თანამდებობაზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის შოთა ფოთოლაშვილის კანდიდატურა. აკადემიურმა საბჭომ კენჭისყრით დაადასტურა შოთა ფოთოლაშვილის კანდიდატურა თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე და იგი განისაზღვრა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია

რექტორის აპარატის და აკადემიური
საბჭოს სამდივნოს უფროსი
სხდომის მდივანი

მზექალა აჭაიძე

ამონაწერი სწორია



მ. აჭაიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

2022 წლის ანგარიში

მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

შესავალი

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 23 სხდომა, 6 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 122 დადგენილება, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოს გაეგზავნა 7 წარდგინება.

პანდემიის პერიოდში, რომელიც დიდი გამოწვევა იყო მთელი საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით განათლების სისტემისთვის, 2 წლის განმავლობაში აკადემიური საბჭოს სხდომები ელექტრონული პლატფორმის საშუალებით მიმდინარეობდა. 2022 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, აკადემიური საბჭოს სხდომები ისევ დასწრებულ ფორმატში მიმდინარეობდა, სასწავლო პროცესი ასევე დაუბრუნდა სწავლების ჩვეულ რეჟიმს.

გასული წელი გამოირჩეოდა დატვირთული სამუშაო რეჟიმით:

- აკადემიურმა საბჭომ 2022 წელს გაზაფხულზე გამოაცხადა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსი. აღნიშნულ თანამდებობაზე მეორე ვადით არჩეულ იქნა **ირმა გრძელიძე** (დადგენილებები: №31/2022, 11.04.2022; №42/2022, 2.05.2022; №43/2022, 10.05.2022).
- 2022 წლის ოქტომბრის დასაწყისში თსუ-ს რექტორმა, **გიორგი შარვაშიძემ**, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა რექტორის თანამდებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიურმა საბჭომ გამოაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები და 2022 წლის 20 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ **რექტორის მოვალეობის შემსრულებლად** აირჩია **ჯაბა სამუშია** (დადგენილებები: №92/2022, 7.10.2022; №96/2022, 10.10.2022; №98/2022, 17.10.2022; №99/2022, 20.10.2022).
- **2022 წლის 24 ოქტომბერს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები გაიმართა:
 - ა) იურიდიული ფაკულტეტი - 1 წევრი (4 წლის ვადით);
 - ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი (1 წევრი- 4 წლის ვადით; 1 წევრი 3 წლის ვადით - 2025 წლის 11 ოქტომბრამდე);
 - გ) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 წევრი (4 წლის ვადით);
 - დ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 1 წევრი (4 წლის ვადით);
 - ე) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 წევრი (4 წლის ვადით);
 - ვ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი (4 წლის ვადით);

ზ) მედიცინის ფაკულტეტი - 2 წევრი (4 წლის ვადით);

თ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი - 1 წევრი (2024 წლის 2 ივლისამდე).

- 2022 წლის 15 ნოემბერს გამოცხადდა რექტორის არჩევნები, რის შედეგადაც 2022 წლის 27 დეკემბერს, რექტორის თანამდებობაზე 30-ე რექტორად არჩეულ იქნა თსუ-ს პროფესორი, აკადემიკოსი **ჯაბა სამუშია** (დადგენილებები: №102/2022, 15.11.2022; №122/2022, 27.12.2022).

- 2022 წლის 28 ნოემბერს დაინიშნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრთა არჩევნები (დადგენილება №100/2022, 31.10.2022).

2022 წელს აკადემიურმა საბჭომ კიდევ ერთი სიახლე შემოიტანა და დადგენილებით მიიღო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯილდოს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო საკოლექციო ვერცხლის მონეტის - დაწესებისა და დაჯილდოების პირობები და წესი (დადგენილება №80/2022, 14.09.2022).

შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდეგში – წესდება) მე-8 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში 2022 წლის განმავლობაში ცვლილებები შეტანილ იქნა 2022 წლის 21 მარტის №27/2022 და 2022 წლის 10 მაისის №44/2022 დადგენილებებით.

**პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული
ღონისძიებები**

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 38 დადგენილება პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის, გათავისუფლების თუ კონკურსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარების შესახებ:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №1/2022, 31.01.2022);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №2/2022, 31.01.2022);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №185/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №7/2022, 31.01.2022);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №184/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №8/2022, 31.01.2022);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №63/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №11/2022, 31.01.2022);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №12/2022, 14.02.2022);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №103/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №14/2022, 14.02.2022);

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №17/2022, 11.03.2022);
